,,აფხაზური ენის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი (საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით): სოციოლინგვისტური კვლევა

მაია გელანტია -
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი, ფილოლოგიის მიმართულებით
ORCID ID: 0009 – 0001-6773 – 336 X

https://doi.org/10.52340/gbsab.2026.59.08

„მშვიდობა, როგორც სიცოცხლე,
ომი, როგორც ბოროტება, წარსული,
როგორც დიდი შერიგების,
თანხმობისა და განვითარების შესაძლებლობა“.

რაფიელ გელანტია 2021

წინათქმა:

საქართველოს ძირითად კანონში არის კონსტიტუციური ჩანაწერი, მუხლი 2.მე-8 პუნქტი “რომ საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში - აგრეთვე აფხაზური”.[1] თავდაპირველად აღნიშნული ჩანაწერი 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლში ჩაიწერა, მოგვიანებით 2017-2018 წლების კონსტიტუციური რეფორმის შედეგად მუხლის ნომერაცია შეიცვალა და აღნიშნული დებულება დღეს ასახულია მე-2 მუხლის მე-8 პუნქტში. რომლითაც კიდევ უფრო მკაფიოდ განისაზღვრა აფხაზური ენის სტატუსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ამ ჩანაწერით აფხაზური ენის სტატუსთან დაკავშირებით კონსტიტუციური ჩანაწერი, მათ შორის ქმნის მყარ სამართლებრივ საფუძველს საქართველოს სახელმწიფო სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებისთვის.

აღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერი შემდგომში კიდევ უფრო განმტკიცდა 2015 წელს მიღებულ საქართველოს კანონში „ სახელმწიფო ენის შესახებ“.

ამავე დროს ყოველ წელს, 27 ოქტომბერს, ქვეყანაში ოფიციალურად აღინიშნება „აფხაზური ენის დღე“, რომელიც დაწესდა 2007 წელს და რომ, ეს დღე გარკვეულწილად ზემოთ აღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერის არა მხოლოდ დეკლარირებული არამედ პრაქტიკული ასახვაცაა და სამშვიდობო პოლიტიკის გაგრძელებაა. ამ დღეს-თან დაკავშირებით მთელი ქვეყნის მასშტაბით ტარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები: უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში კონფერენციები, საგანმანათლებლო ფორუმები, ლიტერატურული შეხვედრები და სხვა., სკოლებში ღია გაკვეთილები რომელიც ეძღვნება აფხაზეთის თემატიკას, ისეთები, როგორიცაა გაკვეთილი „აფხაზეთი“ და სხვა. ასევე, აფხაზურ ენას, როგორც არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO - დაარსდა 1945) იცავს.[2],[3] გაქრობის

[1] “საქართველოს კონსტიტუცია”, საქართველოს პარლამენტის გამომცემლობა, გამოიცა 2018 წ. გვ.10

[2] იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org

[3] UNESCO - გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, დაარსდა 1945 წელს).

საფრთხის წინაშე (მოწყვლადი) ენების შესაბამისი სტატუსით, იმთავითვე კიდევ ერთხელ აღიარებს რა აფხაზური ენის ფუნქციონირების საგანგაშო ვითარებას.[1] ნიშანდობლივია, რომ აფხაზურთან ერთად, ასეთი (მოწყვლადი) ენების რაოდენობა მსოფლიოში ათასობითაა, (იგივე წყაროს მონაცემებით)[2] მათ შორის აფხაზურთან ახლოს მდგომი სხვა ენებიც კავკასიური ჯგუფიდან (მაგ. აბაზური ენა (რომელიც აფხაზურთან ერთად აფხაზურ-აბაზურ ჯგუფს ქმნის და ასევე ამავე კლასიფიკაციით, შესაბამისი მოწყვლადი ენის სტატუსით, როგორც ენა, რომელიც მცირე არეალზე გამოიყენება და მოითხოვს აქტიურ დაცვასა და დოკუმენტირებას).

როგორც საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკა,[3],[4],[5] ისე თანამედროვე ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები (კულტურული ანთროპოლოგია, ენათმეცნიერება (ლინგვისტიკა), ენის ფილოსოფია და სოციოლოგია) და (UNESCO -იუნესკო[6]) თანხმდებიან იმაზე, რომ ენა არ წარმოადგენს მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებას, არამედ იგი არამატერიალური კულტურის უზენაესი ფასეულობაა და ისტორიული მეხსიერების უმნიშვნელოვანესი საცავია და უნდა წარმოვიდგინოთ ფუნდამენტურ ტრიადაში: ''ადამიანი - ენა - კულტურა", ამასთან დაკავშირებით, როგორც გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი და ლინგვისტი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტი (1767-1835წწ.) აღნიშნავდა[7] რომ ენა, თავის მხრივ, წარმოადგენს ამ კონკრეტულ ენაზე, მოლაპარაკე „ენობრივი ადამიანების" „სულიერ სარკეს". ანუ, რომ ერთი ენის მატარებელი ხალხი მოვლენებს აღიქვამს საკუთარი ენის პრიზმიდან და იმ ისტორიული მეხსიერების გამოცდილებით, რომელიც ამ ხალხმა გაიარა. ეს თვალსაჩინოდ ვლინდება ამ ენაზე შექმნილ ლიტერატურულ შემოქმედებაში, ფოლკლორში, ტრადიციებში, რიტუალებსა და ყოველდღიურ მეტყველებაში, თუნდაც ეს იყოს დამწერლობის არმქონე ენა, როგორიც მსოფლიოში მრავლადაა და რომელიც თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერადაც გადაეცემა. აღნიშნული თეორიული კონცეფცია განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს წინამდებარე კვლევის ფარგლებშიც, რადგან ჰუმბოლდტისეული ხედვიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ზოგადად ენაში და აფხაზეთის მაგალითზე საუკუნეების განმავლობაში ილექება და ინახება ისტორიული გამოცდილება, ქართველებსა და აფხაზებს შორის საუკუნებრივი კულტურული ურთიერთგავლენა და ისტორიული წიაღსვლები რომელიც, სწორედ ამ ენობრივ სივრცეშია. ამავე დროს, დღეს, როდესაც გლობალური გამოწვევები - იქნება ეს ეკოლოგია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, მშვიდობის მშენებლობა თუ აკადემიური კვლევები - არა ერთი არამედ პრობლემების ირგვლივ ერთიანდება და ინტერდისციპლინირი მიდგომა კვლევის და პრობლემის გადაჭრის წარმატების

[1] იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org

[2] იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org

[3] Universal Declaration of Humna Rights. UN General Assembly Resolution 217 A (III). Paris.1948

4 European Charter for Regional or Minority Languages. Council of Europe, European Treaty Series – No.148, Strasbourg. (1992).

[5] International Covernant on Civil and Politikal Rights. UN General Assembly, United Nations, Treaty Series,vol. 999,p. 171

6 იუნესკოს 2003 წლის კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ და ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მიდგომები გადაშენების პირას მყოფი ენების შესახებ („მსოფლიო ენების ატლასი"). / UNESCO – Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage and the Organization approaches regarding endangered languages ("Atlas of the World Languages").

[7] HUMBOLDT, WILHELM von. On Language: The Diversity of Human Language-Structure and Its Influence on the Mental Development of Mankind. Translated by Peter Heath, with an introduction by Hans Aarsleff. Cambridge: Cambridge University Press. 1988. (ნაშრომი ეძღვნება ენის შინაგანი ფორმისა და ხალხთა სულიერი სამყაროს ურთიერთმიმართების ფილოსოფიურ-ლინგვისტურ კონცეფციას).

ერთადერთ სწორ გზად გვევლინება. სწორედ, რომ ეს პრინციპი აქვთ საფუძვლად თანამედროვე სამეცნიერო სკოლებს, სამშვიდობო ინიციატივებს და საზოგადოებრივ დიალოგს, სადაც სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები საერთო მიზნის ირგვლივ ერთიანდებიან, რაც ადამიანის გადარჩენას, მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას გულისხმობს, ხოლო ომს, როგორც კაცობრიობის ბოროტებას სრულიად გმობს. ამ საკითხზე ვ.ვერნადსკი ჯერ კიდევ 1937-1938 წლებში აღნიშნავდა, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „აზრი სამეცნიერო, როგორც პლანეტარული მოვლენა“, სადაც ნოოსფეროს კონცეფციის განვითარებისას ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის წინაშე მდგარი გლობალური ამოცანები კაცობრიობის გადასარჩენად, მოითხოვს არა ცალკეულ ვიწრო სპეციალიზაციებად დაყოფას, არამედ მეცნიერებისა და საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებას განსახილველი პრობლემების ირგვლივ და არა ცალკეული კონკრეტული დისციპლინების ირგვლივ, ჯერ კიდევ მაშინ, მის ამ პროგნოსტიკულ ნაშრომში, მათ შორის გლობალურ პრობლემებთან დაკავშირებით, ვ.ვერნადსკი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მეცნიერების ინტერდისციპლინურობის მიზანშეწონილობაზე მიგვითითებს.[1] რაც დღეს უფრო აქტუალურია. შესაბამისად, დღეს, როდესაც ენა არაერთი მეცნიერების შესწავლის საგანია და ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ენის საკითხით ინტერესდებოდნენ არისტოტელე, პლატონი და ხვა., დიდი მოაზროვნეები., ამ საკითხის კვლევა უძველესი დროიდან დღემდე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს. ამავე დროს, მიუხედავად იმისა, რომ ენა სხვადასხვა მეცნიერების და მეცნიერის, ინტერესშია და იკვლევს, თუმცა მიუხედავად ამისა, მსოფლიოს, კაცობრიობას გვაქვს დღემდე პასუხ გაუცემელი მთავარი კითხვები, რომლებიც დღემდე მსჯელობის საგნად რჩება. მაგალითად ენების წარმოშობის საკითხი, ან თუნდაც, კერძოდ ის, რომ ღმერთმა დაარქვა საგნებს სახელი თუ ადამიანმა?![2] (დიალოგი პლატონი-კრატილოსი) და სხვა აქტუალური საკითხები, თუმცა სწორედ, ამის გამოც, რომ ენა, სხვადასხვა ჭრილში არაერთი მეცნიერების შესწავლის საგანია და როგორც ვ.ვერნადცკი აღნიშნავდა, თითქმის 100 წლის წინ საჭიროა, მიზანშეწონილია გლობალური საკითხების გადასაჭრელად ინტერდისციპლინური მიდგომა. შესაბამისად, ფილოსოფიის, თეოლოგიის, ისტორიის, ეთნოლოგიის, ეთნოგრაფიის, კულტურული ანთროპოლოგიის, გეოგრაფიის, ეკოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, კონფლიქტოლოგიის და სამართლის ჭრილში, თანამედროვე ენათმეცნიერების დიდი ქოლგის ქვეშ არსებული მიმართულებების, მათ შორის ეთნოლინგვისტიკის, შეპირისპირებითი ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიისა და სოციოლინგვისტიკის, და ფსიქოლინგვისტიკის, სემანტიკის და სხვა., დისციპლინის, ასევე სემიოტიკის და სხვა მიმართულებების გათვალისწინებით. და სხვა., ენის (ენების შესწავლის საკითხი) თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს და ამოცანას წარმოადგენს.

“**აფხაზური ენის კონსტიტუციურ - სამართლებრივი სტატუსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში (საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით) სოციოლინგვისტური კვლევა** ჩატარდა პირველად. სოციოლინგვისტიკა, როგორც ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების შემსწავლელი ინტერდისციპლინური დარგი, სათავეს იღებს 1939 წლიდან, ხოლო დამოუკიდებელ აკადემიურ დისციპლინად იგი 1960-იან წლებში ჩამოყალიბდა. თანამედროვე ეტაპზე ქართული სოციოლინგვისტური სკოლა ამ მიმართულებით აქტიურად ვითარდება (მათ შორის

[1] VERNADSKY. V “BIOSFPHERE AND NOOSPHERE. TRANSLATED BY GEORGE VERNADSKY. AMERICAN SCIENTIST. 1945

[2] პლატონი-კრატილოსი/ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ//დიალოგები. თბილისი: გამომცემლობა: “ნაკადული”. 1997წ.

რასაც მოწმობს ამ მიმართულებით საერთაშორისო სამეცნიერო სკოლებისა და კონფერენციების რეგულარული ორგანიზება, ამ დარგში უახლესი კვლევებისა და მეთოდიკების გაზიარების მიზნით) სოციოლინგვისტიკა არის ინტერდისციპლინური სფერო ენათმეცნიერებისა და სოციოლოგიის მიჯნაზე, რომელიც სწავლობს კავშირს ენასა და მისი არსებობის სოციალურ პირობებს შორის. მარტივად, რომ ვთქვათ, სოციოლინგვისტიკა შეისწავლის ენას რეალურ საზოგადოებაში - იმას, თუ როგორ ზემოქმედებს სოციალური ფაქტორები ენის ფუნქციონირებაზე, თავის მხრივ, როგორ აყალიბებს ენა საზოგადოებრივ რეალობას.[1] ამრიგად, სოციოლინგვისტიკა არ შემოიფარგლება ენის შინაგანი სტრუქტურის კვლევით და იკვლევს თუ როგორ ზემოქმედებს ენის ფუნქციონიებაზე ენობრივი და სოციალური ფაქტორები: (სზოგადოების სტრუქტურის, იდეოლოგიის,სამართლებრივ-ინსტიტუციური, პოლიტიკის, კულტურის და ურთიერთშორისი ურთიერთობების და სხვა.,) ურთი

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო და სოციოლინგვისტური საკითხების შესწავლაზე მრავალი წლებია ვმუშაობ საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებულ დროებით კომისიაშ; (1.07.2026 წლის თსუ - სოციოლინგვისტიკის საერთაშორისო საზაფხულო სკოლაში მივიღე მონაწილეობა, (სადაც შვედმა მეცნიერმა, ენათმეცნიერმა, პროფესორმა ქ-ნმა კარინა ვამლინგმა სოციოლინგვისტიკის სკოლის ფარგლებში დისტანციურად ლექცია წაიკითხა) კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ უცხოურ აკადემიურ სივრცეშიც აქტიურად მიმდინარეობს ამ მიმართულებით მუშაობა: როგორიცაა : „ ენობრივი კანონმდებლობა და ენობრივი უფლებები კავკასიაში“.[2] და სხვა.,უცხოურ სამეცნიერო წრეებში არსებული ეს კვლევები უდავოდ ღირებულია, თუმცა ვითარების სრულყოფილი ანალიზის მისაღებად აუცილებელია ეროვნულ აქ არსებულ რეალიებთან შეჯერება, მაქსიმალურად ობიექტური სურათის მისაღებად, სახელმწიფოებრივი ხედვის გათვალისწინებით.

კვლევის მიზანი:

წინამდებარე კვლევის მიზანია ენის სოციოლინგვისტური შესწავლა ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის ჭრილში, კვლევის ფარგლებში ასევე მოიცავს იძულებითი მიგრაციით განპირობებული ცვლილებების, ისტორიული მეხსიერებისა და ენის როგორც კულტურული საცავის ფენომენის ანალიზს, ასევე ენის როგორც სამშვიდობო დიალოგისა და მშვიდობის მშენებლობის, კონფლიქტის ტრანსფორმაციის საშუალებას;

დასახული მიზნის მისაღწევად გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები: კანონმდებლობის ანალიზი და ოფიციალური ენობრივი პოლიტიკის გავლენის შესწავლა ენის რეალურ ფუნქციონირებაზე. კანონმდებლობისა და ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ანალიზი - ენის ფუნქციონირების, მათ შორის დიასპორებში და იძულებით მიგრაციით განპირობებული დიაქრონული ცვლილებების, აგრეთვე რეალური საზოგადოებრივი პროცესების ანალიზი

კვლევის ობიექტი:

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ენობრივი სივრცე და მისი ფუნქციონირების

1. პიტერ ტრადგილის (Peter Trudgill) წიგნი „Sociolinguistics: An Introduction to Language and Society“ პირველად 1974 (ან ზოგიერთი წყაროთი — 1975) წელს გამოიცა (გამომცემლობა Penguin Books).
2. Vamling, K. (2011). Language Legislation and Linguistic Rights in the Caucasus. In Caucasus Studies, Malmö University.

სოციალურ-სამართლებრივი გარემო. ენის, როგორც სამშვიდობო დიალოგისა და მშვიდობის მშენებლობის რესურსის შესწავლა ;

კვლევის საგანი :

ენობრივი პოლიტიკის სამართლებრივი მექანიზმები, იძულებითი მიგრაციით განპირობებული სოციოლინგვისტური დინამიკა, ენის, როგორც სამშვიდობო დიალოგის რესურსის როლი.

კვლევის მეთოდოლოგია: წინამდებარე ნაშრომი ეფუძნება თანამედროვე ენათმეცნიერების პრინციპებსა და ინტერდისციპლინურ კვლევის მეთოდოლოგიას, რომელიც აერთიანებს კანონმდებლობის ანალიზს, ისტორიული და შედარებითი ანალიზის მეთოდებს და მიდგომებს.

ნაშრომში საფუძველია: ერთის მხრივ „საქართველოს კონსტიტუცია“, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი“, კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტები და აფხაზური ენის შესახებ არსებული ფუნდამენტური ნაშრომები: კ.მაჭავარიანის, პ.უსლარის, მ.ზავადსკის, დ.გულიას, და სხვა., შრომების ვრცელი და სრული ჩამონათვალი (იხ. გამოყენებული წყაროების ჩამონათვალში).

კვლევის თეორიულ - მეთოდოლოგიურ ჩარჩოს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრში (ICCN) პროფესორ გიორგი ხუციშვილის ხელმძღვანელობით შეძენილი მრავალწლიანი თეორიული ცოდნა და სამშვიდობო დიალოგში მონაწილეობის გამოცდილება. აღნიშნულმა (ICCN სამშვიდობო განათლების კვლევითმა ცენტრმა (არასამთავრობო ორგანიზაცია) უზრუნველყო ენობრივი უფლებების განხილვა არა მხარეთა დაპირისპირების, არამედ მშვიდობის მშენებლობის და ნდობის აღდგენის ჭრილში. სამშვიდობო სწავლებამ უზრუნველყო ენობრივი უფლებების განხილვა არა მხარეთა დაპირისპირების, არამედ მშვიდობის მშენებლობის, ტოლერანტობისა და ნდობის აღდგენის ჭრილში.[1],[2].

ნაშრომის მეცნიერული სიახლე: ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს განსაზღვრავს უშუალოდ მისი სათაური დან გამომდინარეობრივ ინალური კონცეპტუალური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც პირველად ტარდება კომპლექსური სოციოლინგვისტური კვლევა, (საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერის მიხედვით), რომელიც თანამედროვე ქართული სოციოლინგვისტური სკოლის ფორმირების და განვითარების ეტაპზე, გარკვეულწილად ეს ნაშრომიც როგორც მშენებლობის პროცესის მონაწილე წვლილს შეიტანს ამ მიმართულების განვითარებაში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ანალიტიკურ ნაშრომს. ნაშრომის შედეგები შესაძლოა გამოყენებულ იქნას აკადემიური და საექპერტო წრეების მიერ ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და სამშვიდობო ინიციატივების განხორციელებაში. ასევე დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრის მიერ.

---

[1] კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) დაარსდა თბილისში, 1994 წელს დააფუძნა ცნობილმა მეცნიერმა, ფილოსოფოსმა, პროფესორმა გიორგი ხუციშვილმა (2013 წლამდე). სამშვიდობო საქმიანობის და კვლევით ტრადიციებს აგრძელებს, მისი მეუღლე ნინო ციხისთავი - ხუციშვილი თანამოაზრეებთან და კოლეგებთან ერთად. კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც წლების განმავლობაში გახდა ერთ-ერთი წამყვანი საქართველოში კონფლიქტების ტრანსფორმაციის და მშვიდობის სწავლების მიმართულებით.

[2] გელანტია მ. - პოსტკონფლიქტური ვითარება დნესტრისპირეთსა და აფხაზეთში შედარებითი ანალიზი. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნირო - პრაქტიკული ჟურნალი, “მოამბე” XXI. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. ISSN 2233-3606

საყურადღებოა, რომ - აფხაზეთი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სტატუსით საერისთაო თუ სამთავრო, სახელშეკრულებო თუ ავტონომიური უფლებით ქართულ სახელმწიფოში შედიოდა.[1]

აფხაზეთი - რაც კი წერილობითი წყაროები არსებობს: არქეოლოგიური, ქართული, უცხოური, იყო დაახლოებით (ძვ. წ.აღ. III ათასწლეულიდან) საქართველოს ერთ-ერთი ისტორიულ - გეოგრაფიულ - ეთნოგრაფიული რეგიონია.[2] სადაც საუკუნეთა განმავლობაში გვერდიგვერდ თანა ცხოვრობდნენ ქართველები და აფხაზები.

1993 წლიდან აფხაზეთი ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.[3] და დღემდე საქართველოს სეცესირებული რეგიონია, ამავე დროს, მრავალი წელიწადია და როგორც უკვე ითქვა, ოკუპაციის პირობებში განხორციელებული რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად აფხაზეთში შევიწროებულია როგორც ქართული, ისე აფხაზური ენები. აფხაზური ენა იბერიულ - კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ - ადიღეური ჯგუფის ენას მიეკუთვნება.[4] პირველი წერილობითი წყაროები რომელიც დღემდეა შემონახული, XVII საუკუნეში ცნობილ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების ეკუთვნის. მან თავის „მოგზაურის წიგნში“ პირველმა ჩაწერა 40-მდე აფხაზური სიტყვა და ფრაზა „არაბული გრაფიკის“ გამოყენებით.[5] ბუნებრივია, ეს ჩანაწერი ვერ იქნებოდა სრულყოფილი, რადგან ავტორმა არ იცოდა აფხაზური ენა. ამჟამად აფხაზური ენის რამდენიმე დიალექტია გავრცელებული, თუმცა სალიტერატურო ენის საფუძვლად აბჟუური „დიალექტია მიჩნეული“. ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად იმისა, რომ, აფხაზური ენა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე უდა მწერლობო ენა იყო, მისი მეცნიერული შესწავლა სწორედ ამ საუკუნიდან დაიწყო.

მცირე ისტორიული ცნობები: პ.უსლარმა, 1862 წელს შექმნა პირველი ანბანი აფხაზური ენის რუსული (კირილიცას) გრაფიკის საფუძველზე[6,7] ანბანში გამოყენებულ იქნა, რუსული გრაფიკის ანბანის 25 ასო, ლათინური ანბანის 9 ასო, 7 რუსულ გრაფემას შეუცვალა მოხაზულობა სპეციფიკური აფხაზური ფონემების გადმოსაცემად, ბერძნული ანბანიდან აიღო 3 ასო, ქართულიდან 3 ასო, ამ კომბინაციათა გზით შექმნილ აფხაზურ დამწერლობაში სულ 55 მონოგრაფემა, ანუ თითო ბგერის აღმნიშვნელი პრინციპი რომ დაცული ყოფილიყო. [8,9] მოგვიანებით 1887 წელს მიხეილ ზავადსკის რედაქტორობით დაიბეჭდა აფხაზური ენის გრამატიკა, სადაც რედაქტორმა 12 ფონემა შეცვალა.

1926-1928 წწ. აფხაზური დამწერლობა გადავიდა ლათინურ შრიფტზე. საფუძველი იყო, აკად. ნ.მარის მიერ შექმნილი ე.წ. ანალიზური დამწერლობა.

1938 -1954 წლებში, აფხაზური ენა ქართულ გრაფიკაზე გადავიდა. ამ გრაფიკის შემქმნელები იყვნენ დ.გულია, ს. ჯანაშია, და აკაკი შანიძე. თუმცა ეს იყო 1954 წლამდე. 1954 წელს ამ ენის გრაფიკული სისტემა კვლავ დაუბრუნდა უსლარის პ. დამწერლობის მ.ზავარდსკისეულ ვარიანტს. ასევე, 1994 წელს, დაზუსტდა 6 ბგერის

[1] ლორთქიფანიძე მარიამ. “რჩეული ნაწერები“ თბილისი, 2016 წ. ., გვ.190.

[2] ლორთქიფანიძე მარიამ “რჩეული ნაწერები“ თბილისი, 2016 წ. ., 190გვ.

[3] ყოლბაია ვ. გელანტია რაფიელ, და სხვა., „აფხაზეთის ლაბირინთი“. 1999წ. 320 გვ.

[4] ჩიქობავა არნდ, ენათმეცნიერების შესავალი. გამოიცა თსუ, თბილისი, 1952წ.

[5] ჩელები ევლია, მოგზაურის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუტკარაძემ. ტომი I. გამომცემლობა თბილისი: მეცნიერება 1971. გვ. 115 -118.

[6] ბღაჟბა, ხ.ს. აფხაზური დამწერლობის ისტორიიდან, გამომცემლობა სოხუმი. 1967წ.

[7] უსლარი პ. კავკასიის ეთნოგრაფია, ენათმეცნიერება II. აფხაზური ენა. ტფილისი: კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს გამოცემა. 1887 (მ.ზავადსკის რედაქციით).

[8] ბღაჟბა, ხ.ს. აფხაზური დამწერლობის ისტორიიდან, გამომცემლობა სოხუმი. 1967წ.

[9] უსლარი პ. კავკასიის ეთნოგრაფია, ენათმეცნიერება II. აფხაზური ენა. ტფილისი: კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს გამოცემა. 1887 (მ.ზავადსკის რედაქციით).

დამწერლობა. ვრცელი თემაა, ასევე 1865 - 1866 წლებში გამოიცა პირველი აფხაზური ანბანის სახელმძღვანელოები[1] , ამ წლებში გამოცემული **პირველი წიგნები აფხაზურ ენაზე:**

1865 წელს თბილისში დაიბეჭდა პირველი აფხაზური საანბანო სახელმძღვანელო.

1866 წელი - გამოიცა „მოკლე საღვთო ისტორია“ აფხაზური სამრევლო სკოლებისთვის (აფხაზურ და რუსულ ენებზე).

1887 წელი - მიხაილ ზავადსკის რედაქტორობით დაიბეჭდა აფხაზური ენის გრამატიკა.

1892 წელი თბილისში გამოიცა დიმიტრი გულიასა და კონსტანტინე მაჭავარიანის აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელო (შეიცავდა ლოცვებს და “10 მცნებას” და “მრწამს”.).

1907 წელი - საქართველოს ეგზარქოსის განკარგულებით თბილისში იოანეს სახარება აფხაზურ ენაზე გამოიცა.

1909 წელი - გამოიცა ა.ჭოჭუას “აფხაზური ანბანი”, რომელიც იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით შეიქმნა.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ დამწერლობის შექმნამდე 1810 წელს განათლების სისტემაში აფხაზური ენის შემოტანის პირველი ინიციატივა წამოაყენა არქიმანდრიტმა იოანე ინგოროყვამ / იოსელიანმა. და აფხაზურ ენაზე სწავლება შემოღებულ იქნა რამდენიმე სოფლის სკოლაში. როდესაც 1865-1866 წლებში გამოიცა პირველი აფხაზური ანბანის სახელმძღვანელოები ამის შემდგომ იქნა აფხაზურ ენაზე სწავლება შემოღებული რამდენიმე სოფლის სკოლაში, ამ დროს, რუსეთის იმპერიის ენობრივმა პოლიტიკამ აფხაზურ ენას, მხოლოდ დამხმარე როლი მიაკუთვნა, (საწყის ეტაპზე სწავლების), ამ პერიოდში, ასევე როგორც ზემოთაც დაიწერა 1892 წელს გამოიცა განათლების სფეროს წარმომადგენლის კონსტანტინე მაჭავარიანის და დიმიტრი გულიას, აფხაზური ენის საანბანო სახელმძღვანელო. აქაც დაზუსტდა ბგერები.[2] აქ ასევე გამოყენებულ იქნა, იაკობ გოგებაშვილის მიერ, „დედაენაში“ დამკვიდრებული პედაგოგიური პრინციპები და სხვა., მაგრამ, მიუხედავად, რომ საწყის ეტაპზე დამწერლობა საგანმანათლებლო მიზნებისთვის შეიქმნა. უდამწერლობო ენისთვის ენის შექმნა პირველი ნაბიჯია გადარჩენისთვის, მათ შორის რომ თაობიდან თაობას გადასცეს დოკუმენტირებული მასალა. დამწერლობის გარეშე ენა მოწყვლადია გაქრობისათვის. ამ შემთხვევაში, რომ სკოლაში შესულ ბავშვებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ამ ენაზე წერა - კითხვის. თუმცა, როგორც ნათლად ვხედავთ, ანბანისა და დამწერლობის მუდმივმა, ხშირმა, პერიოდულმა, ცვლილებებმა, პრობლემები შექმნა: მოსწავლეების ადაპტაციის და პედაგოგებს, კი თავიდან უწევდათ ანბანის სწავლა, წინა თაობის ნაწერები მიუწვდომელი ხდებოდა, ასევე საჭირო ხდებოდა ახალი სახელმძღვანელოების შექმნა რასაც დამატებითი დრო და რესურსი სჭირდებოდა რაც არც იყო, და სხვა., ყოველოვე ამან შეაფერხა პროცესი. ანუ მათ შორის აფხაზურ ენაში აფხაზური დამწერლობის გრაფიკული სისტემების მუდმივმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო საგანმანთლებლო, ფილოლოგიური, კულტურული სივრციდან აფხაზური ენის თანდათანობით გასვლას.

ამავე, დროს **ისტორიული სინამდვილიდან:** აფხაზური ენობრივი სივრცის გეოგრაფიული არეალის გაფართოება და შემცირება ერთდროულად უკავშირდება მე-19 საუკუნის პერიოდის მოვლენებს. ერთის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება მე-

1 ივანე ბართლომეი, „აფხაზური ანბანი“ (ტიფლისი, 1865; აგებული პიოტრ უსლარის 1862 წლის ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალების საფუძველზე).

2 მაჭავარიანი კ., გულია დ., აფხაზური ანბანი. ტფილისი: კავკასიის სასწავლო ოქლის სამმართველო, 1892

19 (XIX) საუკუნის კავკასიის ომის შემდგომ მუჰაჯირობის (II ნახევარში) [1] შედეგად მათ შორის აფხაზთა იძულებითი მიგრაციის შედეგად, დღეს დიასპორები ასევე წარმოდგენილია თურქეთში, სირიასა და იორდანიაში.

მოგვიანებით, აფხაზური ენის გავრცელების არეალი კვლავ შეიცვალა. საყოველთაოდ არის ცნობილი, 1992-1993 წწ. (აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შედეგად), რომ მოსახლეობის იძულებით გადაადგილებას დროთა განმავლობაში ახალი დიასპორული ჯგუფების ფორმირება მოჰყვა[2] აღნიშნული მიგრაციული ნაკადები მნიშვნელოვანწილად ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახებისგან შედგებოდა (შედგება).[3] ნიშანდობლივია, რომ იქამდე შერეული ოჯახები ქართულ-აფხაზური მთელი აფხაზეთის მოსახლეობის დაახლოებით 40% შეადგენდნენ. აღნიშნულმა პროცესებმა, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის დემოგრაფიული მაჩვენებლები (რაც კვლავ მოითხოვს, მათ შორის ამ პერიოდის დემოგრაფიული მაჩვენებლების დამატებით კომპლექსურ კვლევას, მათ შორის ადგილზე დიასპორებში სოციო-ეკოლოგო - დემოგრაფიულ მონიტორინგს და ახალ დიასპორებში რაოდენობრივ შეფასებებს და დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკის შეფასებას. რაც ამ ეტაპზე დიასპორებში შეუძლებელია). რადგან ძირითადი ვექტორი, მიგრაციული ნაკადების ამ პერიოდში 1992-1993 წწ.იყო (რუსეთის ფედერაცია). რაც ადგილზე ემპირიული კვლევების ჩატარებასა და გაგრძელებას, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის, მიუხედავად იმისა, რომ „ახალი დიასპორების“ ფორმირების პროცესი, სწორედ, რომ იქ მიმდინარეობს.[4], [5]. ამასთან, როგორც თანამედროვე სამეცნიერო თეორიები (მიგრაციის, ლინგვოკულტუროლოგიური და სხვა.,) ადასტურებენ, რომ მესამე თაობაში ენის ჩანაცვლება უმეტესწილად მიმღების საზოგადოების უცხო (სხვა) ენით ხდება. თუმცა ეს არ უნივერსალური წესი თუ სავალდებულო მოცემულობა და ითხოვს ამ კუთხითაც ცალკეული დიაპორების კომპლექსურ კვლევებს. ასევე თანხმლები ასიმილაციის პროცესების და სხვა.,

საქართველოში, თანამედროვე პერიოდში, ძირითად არეალად აფხაზური ენის გავრცელების კვლავ აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკა რჩება [6] მიუხედავად, ოკუპირებული ტერიტორიებისა და მიგრაციული ფაქტორების გათვალისწინებით, დღემდე კომპლექსურ შესწავლას და დაზუსტებას მოითხოვს ენის რეალურ მატარებელთა ზუსტი რაოდენობრივი მაჩვენებლები იქაც[7]და რომ, დღეს, ნაწილი აფხაზებისა არიან განსახლებული ბათუმსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში მე-19 საუკუნის მეორე

[1] ანჩაბაძე, გ. (1996). კავკასიის ომი (Кавказская война: очерки истории и историографии). თბილისი: „კავკასიური სახლი“

[2] Gelantia, M. R. Socially-Ekologo-Demographic Aspects of Migration and Diasporization of the Population (on an example of the population of Abkhazia). International Scientific Journal “The Caucasus and the World”, (8), ISSN 1987-7293. (2010).

[3] Gelantia, M. R., & Kozlov, Yu. P. Population migration as a crucial problem of regional anthropoecology in the Autonomous Republic of Abkhazia. Vestnik Universiteta Druzhby Narodov. Seriya: Ekologiya i Bezopasnost’ Zhiznedeyatel’nosti, (4), 83–87. ISSN 0869-8732. (2007).

[4]Gelantia, M. R. Socially-Ekologo-Demographic Aspects of Migration and Diasporization of the Population (on an example of the population of Abkhazia). International Scientific Journal “The Caucasus and the World”, (8), ISSN 1987-7293. (2010).

[5] Gelantia, M. R. Social-Ecological Aspects of Forced Migration of Abkhazian Population (Doctoral dissertation). (2009).

[6]იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org .

[7]იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org .

ნახევრიდან ცხოვრობენ იქ. მთლიანად დასაზუსტებელია ზუსტი საერთო რიცხოვნობა - აფხაზეთში არსებული მძიმე სოციოლინგვისტური ვითარების, დიასპორებში ასიმილაციური პროცესების, კატასტროფული დემოგრაფიული შედეგების ფონზე, თუ რა ვითარებაა, რადგან სხვადასხვა აკადემიურ წყაროსა თუ საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში (UNESCO)[1] მონაცემები ან არ მოიპოვება ან განსხვავდება, რაც ასევე ამ მიმართულებით შემდგომი სოციოლინგვისტური და დემოგრაფიული კვლევების აუცილებლობას წარმოაჩენს.

ფაქტია, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, აფხაზურ ენას, (UNESCO - ს კლასიფიკაციით, გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფი - მოწყვლადი ენის სტატუსი აქვს მინიჭებული)[2] და საერთაშორისო შეფასების პარალელურად, საქართველოს ძირითადი კანონის ნორმატიული აქტების იერარქიის შესაბამისად, აღნიშნული კონსტიტუციური ჩანაწერი ასახვასა და გაგრძელებას პოულობს მომდევნო რანგის საკანონმდებლო აქტში: საქართველოს ორგანულ კანონში "სახელმწიფო ენის შესახებ" 2015 წ.[3]

აღნიშნული კანონის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ "ქართული ენა საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობაა და მისი სახელმწიფოებრიობის აუცილებელი პირობაა. საქართველოს სახელმწიფო თავის ყველა ფუნქციას ამ ენაზე ასრულებს, იცავს მას და განსაზღვრავს მისი, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირებისა და განვითარების პოლიტიკას.[4]

რომ საქართველოს სახელმწიფო, ამავე დროს, იცავს და განამტკიცებს ქვეყანაში ენათა და კულტურათა თანაარსებობისა და ჰარმონიული განვითარების საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ტრადიციას. კანონმდებლობა დაუშვებლად მიიჩნევს ნებისმიერი ენის მიმართ უპატივცემლობას.[5]

რომ, საკანონმდებლო ბაზა, სხვა სამართლებრივ საფუძვლებთან ერთად საფუძველს უქმნის მათ შორის, აფხაზური ენის სისტემურ და უწყვეტ სამეცნიერო კვლევა - ძიების პროცესს .წინამდებარე კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით საგულისხმოა კანონის მე-8 მუხლი.[6] „საქართველოს სახელმწიფო საგარეო ენობრივი პოლიტიკის პრინციპები».

აღნიშნული ნორმის ანალიზი, ცხადჰყოფს, რომ , რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ხელშეკრულებების გათვალისწინებით, სახელმწიფო ხელს უწყობს საერთაშორისო ქართველოლოგიურ ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობით აფხაზოლოგიური კვლევების გაღრმავებას. ეს კი მნიშვნელოვანია, იმ ენასთან მიმართებით, რომელიც მრავალი წელიწადია, საერთაშორისო იზოლაციის პირობებში

[1] იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org .

2 იუნესკოს ციფრული ატლასი: მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org ..

3 საქართველოს ორგანული კანონი "სახელმწიფო ენის შესახებ" მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე").

4 საქართველოს ორგანული კანონი "სახელმწიფო ენის შესახებ" მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , მიღების თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე").

[5] საქართველოს ორგანული კანონი "სახელმწიფო ენის შესახებ" მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , მიღების თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე").

[6] საქართველოს ორგანული კანონი "სახელმწიფო ენის შესახებ" მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , მიღების თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ "საქართველოს საკანონმდებლო მაცნე").

ფუნქციონირებს“.[1]

ოკუპირებულ რეგიონში მიმდინარე მძლავრი რუსიფიკაცია იწვევს აფხაზური ენის იზოლაციას, კანონის მე-8 მუხლი პირდაპირ ეხმიანება საერთაშორისო თანამეგრობისა და UNESCO-ს საგანგაშო მონაცემებს რომ, აფხაზური ენის გაქრობის საფრთხის წინაშეა.[2]

ამდენად, ორგანული კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული „საგარეო ენობ-რივი პოლიტიკა“ სრულ თავსებადობაშია როგორც იუნესკოს „მსოფლიო ენების ატლასთან“ ასევე გაეროს 10 - წლიან სამოქმედო გეგმასთან საერთაშორისო ათწლეულთან (2022-2032) რაც ასევე იზოლაციის დაძლევის შესაძლებლობას ქმნის. ნიშანდობლივია, რომ UNESCO-ს - იუნესკოს ატლასში ენათა უმრავლესობა მოწყვლადია ეს მოწყვლადობა, კი გამოწვეულია გლობალიზაციის ფაქტორით და (ინგლისური,ჩინურის) და სხვა ენების ექსპანსიის გამო, მაგრამ „ამ შემთხვევაში : მათ შორის, რუსიფიკაციისა და როგორც „ენის გავრცელების სიმცირის და მიმოფანტული არეალის გამო.[3] საყურადღებოა, ამავე კანონის თავი 7, 25-მუხლი. (საჯარო ინფორმირებისათვის განკუთვნილ წარწერათა განთავსების წესი) . კანონის მიხედვით, აფხაზეთში, აბრაზე ქართული წარწერა თავსდება მარცხნივ ან ზევით, და იგივე შინაარსის წარწერა მეორე ენაზე. ოკუპირებულ აფხაზეთში კი ეს ნორმა დარღვეულია: წლების განმავლობაში ჩამოხსნილია, ქართულენოვანი აბრები და წარწერები, ხელოვნურად, მიზანმიმართულად შეცვლილია ისტორიული და გეოგრაფიული სახელწოდებები და ტოპონიმიკა, რაც კანონის და ენობრივი უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს და საოკუპაციო რეჟიმის პირობებში ხდე-ბა.

კანონის მე-10 თავის შესაბამისად,[4] სახელმწიფო ენის დაცვის კონტროლს თავი-ანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა, მუნიციპალიტეტის ორგანოები, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.[5]

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში[6] წლებია აქტიურად მოქმედებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია.[7] საპარლამენტო კომისიის მთავარი მიზანია, კომპეტენციის ფარგლებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების ღონისძიებათა კოორდინირება,

[1] საქართველოს ორგანული კანონი “სახელმწიფო ენის შესახებ” მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”). (8 მუხლი).

[2].იუნესკოს მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა. ოფიციალური ელექტრონული პლატფორმა, იუნესკო, 2021 წ. https://wla.unesco.org 2026

[3] იუნესკოს მსოფლიო ენების ატლასი. აფხაზური ენა (ABK) 2021წ. ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org .

[4] საქართველოს ორგანული კანონი “სახელმწიფო ენის შესახებ” მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”). (თავი 10.).

[5] საქართველოს ორგანული კანონი “სახელმწიფო ენის შესახებ” მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ , თარიღი 22/07/2015 წყარო: საქართველოს პარლამენტის საკანონმდებლო მაცნე. (სახელმწიფო ენის შესახებ | სსიპ ”საქართველოს საკანონმდებლო მაცნე”). (თავი 10.).

6 საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისია (საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე და კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი).
წყარო: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი: www.Parliament.ge., 2026 წ.

[7] გელანტია მ. „რუსეთის ფედერაციის ენობრივი პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გამოიცა თბილისი. „უნივერსალი“. 2021წ.

სამშვიდობო პროცესის განვითარებისა და ხალხთა შორის ნდობის აღდგენისათვის ხელის შეწყობა. საპარლამენტო კომისია სწავლობს ამ საკითხებს, მათ გადასაჭრელად შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს. სწორედ, ამ ძალისხმევისა და სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზების ფარგლებში ამ ეტაპზე საპარლამენტო კომისიის ინიციატივით და აქტიური მხარდაჭერით სამშვიდობო სწავლების ცენტრების საუნივერსიტეტო ქსელი ვითარდება. საუნივერსიტეტო სივრცეში სამშვიდობო განათლების ინსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია 2026 წლის 29 მაისს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე სამშვიდობო სწავლების ცენტრის დაფუძნება“. სადაც, პირადად მივიღე მონაწილეობა, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დეოკუპაციის საკითხებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის წარმომადგენლის სტატუსით.

ასევე, ანალოგიური კვლევითი ერთეულები ფუნქციონირებს სხვა აკადემიურ სივრცეებშიც, კერძოდ, თავდაპირველად დაფუძნდა სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე 2026 წელს ბათუმის შოთა რუსთველის[1] სახელმწიფო უნივერსიტეტში და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

2026 წლის 28 ივნისის გამოქვეყნებული ერთ-ერთი მონაცემების თანახმად: ამონარიდი: რომ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლად გახსნილი სამშვიდობო სწავლების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს კონფლიქტების კვლევის, ისტორიული ფაქტებისა და თანამედროვე პროცესების შესწავლის შესაძლებლობას უზრუნველყოფს“, ასევე, რომ ცენტრის მიზანია: „სტუდენტებსა და ახალგაზრდებს შესთავაზოს აკადემიური და პრაქტიკული შესაძლებლობების მშვიდობის მშენებლობის კონფლიქტების ანალიზის, დიალოგისა და შერიგების მიმართულებით. გააერთიანებს განათლებას, კლევას და პრაქტიკულ საქმიანობას. (ასევე ამონარიდი იქვე წყარო).

ამ განხილული ერთ-ერთი წყაროს მასალის ანალიზის საფუძველზეც ნათლად ჩანს და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესაბამისად: ცენტრის ფუნქციონირება მიმართულია სამშვიდობო პროცესის კომპლექსურ მხარდაჭერასა და ხალხთა შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობაზე. რაც ჩვენი ქვეყნის გაერთიანების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

დასკვნა

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ნოვატორულ და კომპლექსურ ნაშრომს, რომელშიც კონსტიტუციური ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციის ჩანაწერი სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ განხილულია სოციოლინგვისტურ ჭრილში.

აფხაზურ ენაში აფხაზური დამწერლობის გრაფიკული სისტემების მუდმივმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო, განვითარების ნაცვლად საგანმანთლებლო, ფილოლოგიური, კულტურული სივრციდან აფხაზური ენის თანდათანობით გასვლას და ჩანაცვლებას.

ჰუმბოლდტისეული ფილოსოფიურ ლინგვისტური კონცეფციის ჭრილში ენა გააზრებულია, არა მხოლოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტად, არამედ როგორც ისტორიული მეხსიერებისა და კულტურის საცავად.(ლინგვოკულტუროლოგიური

1 „ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამშვიდობო სწავლების ცენტრი გაიხსნა“. ვებ: გვერდი : ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამშვიდობო სწავლების ცენტრი გაიხსნა თარიღი: 28.ივნისი.2026

ასპექტი).

ნაშრომში, როგორც სიახლე გაანალიზებულია, 1992–1993 წწ. აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შედეგად წარმოქმნილი იძულებითი მიგრაციისა და ახალი დიასპორების ფორმირების პროცესები. წარმოქმნილმა ვითარებამ, ქართულ -აფხაზური შერეული ოჯახების იძულებითმა მიგრაციამ და მძიმე სოციალურ - ეკონომიკურმა ვითარებამ კატასტროფულად გააუარესა დემოგრაფიული მაჩვენებლები. მაგრამ ამავე დროს მიმდინარეობს დიასპორიზაციის პროცესი მიმღებ ქვეყნებში რაც საჭიროებს კომპლექსურ კვლევას.

კვლევის შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ 1993 წლიდან საქართველოს ოკუპირე-ბულ ტერიტორიებზე მიმდინარე მძლავრი რუსიფიკაცია, ენობრივი უფლებების დარღვევა, ასევე, ქართულენოვანი აბრების ჩამოხსნა და ტოპონიმიკის მიზანმიმართული, ხელოვნური შეცვლა წარმოადგენს კანონმდებლობის უხეშ დარღვევას.

ნაშრომში, დასაბუთებულია, რომ ენა სამშვიდობო პროცესების სწორი მართვის პირობებში, შესაძლოა გახდეს კონფლიქტების ტრანსფორმაციის და ნდობის აღდგენის და სამშვიდობო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს რესურსად და შესააძლებლობა.

გამოყენებული აკადემიური ლიტერატურა და წყაროები:

1. საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი საქართველოს პარლამენტის გამომცემლობა, 2018წ.
2. ანჩაბაძე გ. კავკასიის ომი. თბილის. გამოიცა 1996წ.
3. ბართლომეი ი. აფხაზური ანბანი. გამოიცა ტფილისი 1862წ.
4. ბღაჟბა ხ. აფხაზური დამწერლობის ისტორიიდან. გამოიცა სოხუმი, აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა. 1967წ.
5. გელანტია მ. „რუსეთის ფედერაციის ენობრივი პოლიტიკა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. გამოიცა თბილისი. „უნივერსალი“. 2021წ.
6. გელანტია მ. - პოსტკონფლიქტური ვითარება დნესტრისპირეთსა და აფხაზეთში შედარებითი ანალიზი. საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნირო - პრაქტიკული ჟურნალი, “მოამბე” XXI. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია. ISSN 2233-3606
7. ლორთქიფანიძე მ. რჩეული ნაწერები. თბილისი: გამომცემლობა, თსუ. 2016 წ.
8. მაჭავარიანი კ., გულია დ. აფხაზური ანბანი. ტფილისი: კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველო.
9. პლატონი - კრატილოსი. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ბ.ბრეგვაძემ//დიალოგები.თბილისი: გამომცემლობა: ნაკადული.
10. უსლარი პ. „კავკასიის ეთნოგრაფია: ენათმეცნიერება ტ. II. აფხაზური ენა. ტფილისი: კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველო (მ.ზავადსკის რედაქციით). 1887წ.
11. ჩელები ევლია მოგზაურის წიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ.ფუტკარაძემ. ტომი I. თბილისი: “მეცნიერება”. 1952წ.
12. ყოლბაია ვ.,გელანტია რ, და სხვა., აფხაზეთის ლაბირინთი.თბილისი. 1999წ.
13. ჩქობავა ა. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: გამომცემლობა თსუ. 1952წ.

14. Gelantia, M. R. (2009). Social-Ecological Aspects of Forced Migration of Abkhazian Population (Doctoral dissertation).
15. Gelantia, M. R. (2010). Socially-Ekologo-Demographic Aspects of Migration and Diasporization of the Population (on an example of the population of Abkhazia). International Scientific Journal "The Caucasus and the World", (8), ISSN 1987-7293.
16. Gelantia, M. R., & Kozlov, Yu. P. (2007). Population migration as a crucial problem of regional anthropoecology in the Autonomous Republic of Abkhazia. Vestnik RUDN. Series: Ecology and Life Safety, (4), 83–87. ISSN 0869-8732.
17. Humboldt, W. von (1988). On Language: The Diversity of Human Language-Structure and Its Influence on the Mental Development of Mankind. Translated by Peter Heath. Cambridge: Cambridge University Press.
18. Trudgill, P. (1974). Sociolinguistics: An Introduction to Language and Society. London: Penguin Books.
19. Vamling, K. (2011). Language Legislation and Linguistic Rights in the Caucasus. In Caucasus Studies. Malmö University.
20. Vernadsky, V. (1945). Biosphere and Noosphere. Translated by George Vernadsky. American Scientist, 33(1), 1–12.

სამართლებრივი აქტები და საერთაშორისო დოკუმენტები

21. ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ/ European Charter for Regional or Minority Languages (1992). Council of Europe, ETS No. 148, Strasbourg.
22. იუნესკოს 2003 წლის კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ / UNESCO Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage (2003). Paris: UNESCO.
23. იუნესკოს მსოფლიო ენების ციფრული ატლასი / UNESCO World Atlas of Languages. აფხაზური ენა (ABK) (2021). ხელმისაწვდომია: https://wla.unesco.org
24. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი / International Covenant on Civil and Political Rights (1966). UN General Assembly, Treaty Series, vol. 999, p. 171.
25. სამთავრობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ" (2018). თბილისი: საქართველოს მთავრობა.
26. საქართველოს კონსტიტუცია (2018). თბილისი: საქართველოს პარლამენტის გამომცემლობა.
27. საქართველოს ორგანული კანონი „სახელმწიფო ენის შესახებ" (22/07/2015). №4084-RS. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.
28. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებპორტალი. ხელმისაწვდომია: https://parliament.ge
29. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია / Universal Declaration of Human Rights (1948). UN General Assembly Resolution 217 A (III), Paris
30. ინტერნეტ -რესურსი: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია (2026 წლის 28 ივნისი)

THE CONSTITUTIONAL-LEGAL STATUS OF THE ABKHAZIAN LANGUAGE (ACCORDING TO THE PROVISIONS OF THE CONSTITUTION OF GEORGIA): A SOCIOLINGUISTIC STUDY.

ABSTRACT

This study presents a comprehensive sociolinguistic and interdisciplinary analysis of the constitutional and legal status of the state language in the Autonomous Republic of Abkhazia, as established by the Constitution of Georgia. Beyond a narrow legal framework, the research integrates sociolinguistics, cultural anthropology, and Wilhelm von Humboldt's philosophical-linguistic concept of language as a "spiritual mirror" and a repository of historical memory.

The analysis traces the development of Abkhazia as an integral historical-geographic region of Georgia (from the 3rd millennium BC) and highlights centuries of peaceful coexistence between Georgians and Abkhazians. The paper provides a detailed evaluation of the graphic evolution of the Abkhazian script—from early 19th-century educational initiatives (such as Archimandrite Ioane Ingoroqva/Ioseliani's 1810 proposal) and Peter von Uslar's 1862 alphabet to subsequent Latin and Georgian graphic modifications—demonstrating how frequent script changes created serious pedagogical and cultural obstacles.

Furthermore, the study analyzes the severe demographic and sociolinguistic consequences of forced migrations (19th-century Muhajirism and the 1992–1993 conflict) and the formation of new diaspora communities, which disrupted the historical structure of mixed Georgian-Abkhazian families (accounting for ~40% of the population prior to the conflict). Under the ongoing Russian occupation of Abkhazia since 1993, intensive Russification, the removal of Georgian-language signage, and the artificial alteration of historical toponymy constitute severe violations of linguistic rights, placing the Abkhazian language under UNESCO's classification of endangered languages.

Finally, the paper examines Georgia's Organic Law "On the State Language" and its alignment with UNESCO and UN international standards (2022–2032 International Decade of Indigenous Languages). It highlights the vital role of parliamentary mechanisms—specifically, the Temporary Commission of the Parliament of Georgia on Territorial Integrity and Deoccupation—in implementing state peace policy, peacebuilding, protecting linguistic rights, and restoring trust between peoples.

Keywords: Linguistic Situation, Sociolinguistics, Constitutional Status, Language Policy, Peace Policy, Forced Migration, Toponymy, Interdisciplinary Research, Peace Education Centers, Peace Education Research Units.